


ISSN 1512-1194

სოციალური



ეკონომიკა



იანვარი-თებერვალი
2006

ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის საკითხები

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები

ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც
ეკონომიკური კატეგორია

შორენა მაღლაკელიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოების ის ფაქტორი, რომელშიც მთავარი ელემენტი ცოდნა და ინფორმაციაა, იწოდება ინტელექტუალურ კაპიტალად. განვითარდა რა მისი წინამორბედი ფორმების საფუძველზე, ინტელექტუალურმა კაპიტალმა აიღო მათი ძირითადი თვისებები, ამასთანავე, შეიძინა საკუთარი შინაარსი და მიიღო დამახასიათებელი ნიშნები – ინტელექტუალური საკუთრების არსებობა და განვითარება, მუშაკთა, მეწარმეთა, მეცნიერთა, ადმინისტრაციული პერსონალის აზროვნების კრეატიული ტიპის ჩამოყალიბება და მოცემულ სისტემაში ინტელექტუალური კაპიტალის უპირატესი ფორმირება, რომელიც თანდათან მოიცავს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების მთელ პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური კაპიტალის ცნების გარშემო აქტიური სამეცნიერო დისკუსიები მიმდინარეობს, ჯერ-ჯერობით ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გვხვდება ამ კატეგორიის ერთგვაროვანი განმარტება, თუმცა, ყველა ერთსულოვანია ინტელექტუალური კაპიტალის არსისა და როლის შეფასებაში.

ინტელექტუალური კაპიტალის არსის განსაზღვრა, დასაბუთება და დამკვიდრება დაკავშირებულია ტომას სტიუარტის სახელთან. სტატიაში „ინტელექტის ძალა: თუ როგორ ხდება ინტელექტუალური კაპიტალი ამერიკის შედარებით ღირებული აქტივი“ (1991 წ.), და შემდეგ ნაშრომში „ინტელექტუალური კაპიტალი – ორგანიზაციის სიმდიდრის ახალი წყარო“, მან განმარტა ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც ყველაფერი იმის ჯამში, რაც იციან კომპანიის თანამშრომლებმა, და რაც აძლევს კონკურენტულ უპირატესობას კომპანიებს

შოკანა ბაღაქაძე

ბაზარზე¹. შემდგომში თანდათან ხდებოდა ინტელექტუალური კაპიტალის განსაზღვრის დაზუსტება (ლ. ედვინსონი, ლ. პრუსაკი, ებრაუინგი, ვ. ინოზემცევი, ბ. ლეონტიევი და სხვები)². აქცენტი კეთდებოდა როგორც მის სტატიკურ ხასიათზე, რომელიც დაკავშირებული იყო ინტელექტუალური აქტივების – პატენტების, ლიცენზიების, კომპიუტერული პროგრამების, საავტორო უფლებების და სხვათა დაგროვებასთან, აგრეთვე დინამიკურ დახასიათებასთან, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ადამიანისეულ რესურსებსა და ინოვაციურ მოღვაწეობასთან.

ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებასთან დაკავშირებით დამატება გააკეთა იაპონელმა ნ. ნონაკამ, რომლის განმარტებაში აქცენტი კეთდება ახალი ცოდნის შექმნაზე, ინოვაციურ პროცესზე, რომელშიც მონაწილეობს ე.წ. ფარული ცოდნა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანის ცოდნის, უნარის, გამოცდილების ერთობლიობას; მის მობილურობას (ახალი ინფორმაციის მიღებისა და აღქმის უნარს, სწავლებას, გადამზადებას, ახალ პირობებთან შეგუებას), კრეატიულობას (არაორდინალურ აზროვნებას, იდეის ჩამოყალიბების უნარს), რაც უზრუნველყოფს პროდუქციის შექმნის შესაძლებლობებს.

თავისი შედგენილობით, ინტელექტუალური კაპიტალი არის ადამიანისეული, ორგანიზაციული (სტრუქტურული) და მომხმარებლის (კლიენტის) კაპიტალის ერთობლიობა.

ინტელექტუალური კაპიტალის ანალიზი ადამიანისეულ კაპიტალთან მიმართებით, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არსებობს ამ კატეგორიისადმი ორგანო მიდგომა. პირველის მიხედვით, ინტელექ-

¹ Стюарт Т. Интеллектуальный капитал-новый источник богатства организаций <http://scd.centro.ru>.

² Edvinsson L. and Malone, M.S. Intellectual Capital: Pealizing your Companys True Value by Finding Its Hidden Brainpower, Harper Business, New York, 1997; Боукинг Э. Интеллектуальный капитал. Пер.с англ. под ред. и Л.Н.Ковчанин, Питер, 2001. с. 30; Иноземцев В.Л. За пределами экономического общества, М. "Academia" 1988.с.115; Леонтиев Б.Б. Цена интеллекта. Интеллектуальный капитал в российском бизнесе. М. «Акционер», 2002. с.101.

ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის საკითხები

ინტელექტუალური კაპიტალი წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის განსაკუთრებულ ნაწილს და განპირობებულია საქმიანობის გაცვლის განსაკუთრებული სფეროს წარმოშობით. მეორე მიმართულების მიხედვით, ინტელექტუალური კაპიტალი უფრო ფართო და რთული ცნებაა, ვიდრე ადამიანისეული კაპიტალი. მასში შედის ინფორმაცია, როგორც დამოუკიდებელი საწარმოო რესურსი. უფრო ზუსტად კი – ადამიანისეულ კაპიტალში ის შრომითი რესურსები შედის, რომლებსაც გარკვეული კვალიფიკაცია გააჩნია; მაშინ, როცა ინტელექტუალური კაპიტალი გულისხმობს მხოლოდ უნიკალური უნარის მქონე ადამიანებს.

ადამიანისეული კაპიტალის რეალიზება შეიძლება მოხდეს წარმოების საშუალებებთან მისი ურთიერთკავშირით, წარმოადგენს რა ცოდნის, უნარის, გამოცდილების ერთობლიობას საზოგადოებრივ დონეზე. ინტელექტუალური კაპიტალი კი ინდივიდთან დაკავშირებული ცნებაა, რამდენადაც იგი წარმოადგენს უნიკალური უნარის მქონე ადამიანს, რომელმაც თავისი რეალიზაცია შეიძლება მოახდინოს წარმოების საშუალებებთან ურთიერთკავშირის გარეშე. ამასთანავე, ინტელექტუალური კაპიტალი მის მფლობელს საშუალებას აძლევს მიიღოს მონოპოლიური მოგება, რამდენადაც გააჩნია არა მარტო გარკვეული კვალიფიკაცია, არამედ აქვს ტალანტი, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი და რაც მთავარია, სულიერი პოტენციალი, რომელიც ერთობლიობაში თავს იყრის კაპიტალში.

ინტელექტუალური კაპიტალის მატერიალიზაციის თანამედროვე ფორმებია: წარმოებისა და შრომის მატერიალური ფაქტორები: პატენტები, ლიცენზიები, მოდელები, ნოუ-ჰაუ, პროგრამები და სხვა, რომლებიც მზარდ გამოყენებას პოულობს საზოგადოებისა და მისი სუბიექტების საქმიანობის ყველა სფეროში. მომხმარებლის (კლიენტის) კაპიტალი ეს არის საწარმოს კაპიტალური, სამიედო, გრძელვადიანი და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობის სისტემა თავის კლიენტებთან და მომხმარებლებთან. თავისი არსით ეს არის კომპლექსური, რთული არამატერიალური აქტივი. მას მიეკუთვნება ბრენდები, კლიენტურა, საფირმო სახელწოდება, გასაღების არხები, სალიცენზიო და სხვა ხელშეკრულებები.

შოკანი მაღაქალია

აღმოსავლური ეკონომიკის თეორიის და პოლიტიკის საკითხები

თანამედროვე პირობებში ინტელექტუალურ კაპიტალს შეიძლება ფლობდეს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, რომელსაც შეუძლია შემოქმედებითი აზროვნება, რამდენადაც მისი კაპიტალი ხდება არაორდინალური ქცევისა და მოქმედების უნარი. მიუძღვნას თუ არა თავი სამეცნიერო და რომელიმე სხვა ინტელექტუალურ მოღვაწეობას, გადაწყვეტს მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნულისაგან მოელის, როგორც ფულად, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიურ სარგებელს, რომელიც აღემატება უბრალოდ სამუშაო ძალის მქონეთა შემოსავალს. ინტელექტუალური კაპიტალის მატარებლები შეიძლება ვუწოდოთ პროფესიონალებს, რომლებსაც გააჩნიათ უნიკალური და ძნელად შესაცვლელი შესაძლებლობები და რომელთა მნიშვნელობა საზოგადოებისათვის ყველაზე კარგად საბაზრო ეკონომიკაში ფასდება.

მთავარია ის ფაქტი, რომ ინტელექტუალური კაპიტალი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაში, ისევე როგორც კაპიტალის სხვა ფორმები, როცა შრომის უნარი არის საქონელი, რომელსაც გააჩნია ღირებულება და ასევე მოაქვს ზედმეტი პროდუქტი. ბაზარი იზღის იმისათვის, რომ კაპიტალი ფლობს ღირებულებას.

საბაზრო ეკონომიკაში თვალში მკვეთრად საცემი ხდება ადამიანთა უთანაბრობა მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით.

ჯ. გელბრეიტი აღნიშნავდა, რომ „ადამიანის ინტელექტში ჩადებული დოლარი, ხშირად ეროვნული შემოსავლის მეტ ზრდას განაპირობებს, ვიდრე ის დოლარი, რომელიც ჩადებულია რკინიგზების, მანქანა-მოწყობილობების და სხვა კაპიტალურ სიმდიდრეში. განათლება ხდება კაპიტალდაბანდების მაღალმწარმოებლური ფორმა“¹.

ინვესტიცია არის ინტელექტუალური პროდუქტის წარმოების მნიშვნელოვანი წინაპირობა, მაგრამ არა თვით მისი წარმოება, რომელიც ხორციელდება შემოქმედებით პროცესში, სადაც ამ კაპიტალის მფლობელი გამოდის როგორც შემოქმედების ან ობიექტი, ან სუბიექტი, ან შედეგი. შემოქმედებითი შესაძლებლობების ფორმირებისა და განვითარებისათვის მხოლოდ ინვესტიციები არ არის საკმარისი. ამ პრო-

ეკონომიკური თეორიის და პოლიტიკის საკითხები

აღმოსავლური ეკონომიკის თეორიის და პოლიტიკის საკითხები

ცესის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ეს არის არა მხოლოდ საშუალებებისა და რესურსების დაბანდება, არამედ თვით ამ თვისებების მფლობელის, საოჯახო მეურნეობებისა და მთელი საზოგადოების გააზრებული და მიზანმიმართული საქმიანობა. ინტელექტუალური კაპიტალი იქმნება როგორც ეკონომიკის საზოგადოებრივ სექტორში საბაზრო მექანიზმის საშუალებით, ასევე კერძო სექტორში იმ აზრით, რომ შრომის დანახარჯები და ძალისხმევა თვითგანვითარებასა და თვითსრულყოფაზე დიდ როლს ასრულებს ამ პროცესში. მაგრამ ეს დანახარჯები აუცილებლად შედის საზოგადოებრივ ხარჯებში, რამდენადაც ადამიანის ცოდნის, უნარის, გამოცდილების და სხვა საწარმოო თვისებების დაგროვილი მარაგი შეიძლება რეალიზებულ იქნეს და მიიღოს შეფასება მხოლოდ საზოგადოებაში, მისი მფლობელის აქტიური შემოქმედების საშუალებით.

მაკკონელისა და ბრიუს მიხედვით „ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში – ეს არის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ამაღლებს კვალიფიკაციას და უნარს და ამასთანავე მუშაობს შრომის მწარმოებლურობას. დანახარჯები, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლურობას შეიძლება განვიხილოთ როგორც ინვესტიციები, რამდენადაც მიმდინარე ხარჯები ხორციელდება იმ ანგარიშით, რომ მრავალგზის იქნება კომპენსირებული მომავალში შემოსავლების მზარდი ნაკადებით“¹.

ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტიციებს რიგი თავისებურება ახასიათებს, რითაც იგი განსხვავდება კაპიტალის სხვა სახეობებში ინვესტიციებისაგან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტიციების უკუგება უშუალოდ დამოკიდებულია მისი მატარებლების შრომისუნარიანობის პერიოდის ხანგრძლივობაზე. რაც უფრო ადრე კეთდება დაბანდება ადამიანში, მით უფრო სწრაფად მიღება უკუგება. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის რომ, უფრო ხარისხიანი და ხანგრძლივი ინვესტიციები იძლევა უფრო მაღალ და გრძელვადიან ეფექტს.

ინტელექტუალური კაპიტალი განიცდის რა ფიზიკურ და მორალურ ცვეთას, დაგროვებისა და გამრავლების უნარიც აქვს. ინტელექ-

¹ Гелбрейт Д. Экономические теории и цели общества, М., 1979 с. 49.

¹ მაკკონელი კ. რ., ბრიუს ს. ა. ეკონომიკა, თბ., 2003, გვ. 399.

შოკინა ბაღვალიაძე

ტრადიციული კაპიტალის ცვეთა განისაზღვრება ადამიანის ორგანიზმისა და მისთვის დამახასიათებელი ფსიქოფიზიკური ფუნქციის ბუნებრივი ცვეთის ხარისხით და ასევე ცოდნის მორალური ცვეთის (მოძველებ-ის) ხარისხით. ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება მიმდინარეობს მუშაკის მიერ საწარმოო გამოცდილების დაგროვების პროცესში. თუ ეს პროცესი უწყვეტია, მაშინ მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩასიათებლები უზღობესდება და იზრდება. დაგროვებასთან ერთად იზრდება შემოსავალიც.

ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის დახასიათება შეიძლება შევავალოთ ამ კატეგორიის თავისებურებებით:

1. თანამედროვე პირობებში ინტელექტუალური კაპიტალი განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის მთავარ ტენდენციებს.
2. ინტელექტუალური კაპიტალის ფორმირება მოითხოვს თვით ადამიანისა და მთელი საზოგადოებისაგან მნიშვნელოვან და სულ უფრო მზარდ დანახარჯებს.
3. ინტელექტუალური კაპიტალი ცოდნის, გამოცდილების, უნარის სახით შეიძლება დაგროვდეს.
4. ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვებასთან ერთად შემოსავალი მალდება აქტიური შრომითი საქმიანობის ზედა ზღვრამდე, შემდეგ კი მცირდება.
5. ინვესტიციები ინტელექტუალურ კაპიტალში უზრუნველყოფს მისი მფლობელის მიერ მაღალი შემოსავლის მიღებას.
6. ინვესტიციები ინტელექტუალურ კაპიტალში იძლევა მოცულობის მხრივ მნიშვნელოვან, დროის მხრივ – გრძელვადიან და ხასიათის მხრივ – ინტეგრალურ ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს. რაც უფრო ადრე ხდება ადამიანში დაბანდება, მით სწრაფად იწყება უკუგება. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ უფრო ხარისხიან და ხანგრძლივ ინვესტიციებს მოაქვთ უფრო მაღალი და ხანგრძლივი ეფექტი.
7. ინტელექტუალური კაპიტალი განსხვავდება ფიზიკურისაგან ლიკვიდურობის ხარისხით. ინტელექტუალური კაპიტალი არ არის საბრუნავი აქტივი. ყოველ-გაყიდვის ობიექტი შეიძლება გასდეს მისი ზოგიერთი ის ელემენტი, რომლის დაპატენტებაც შესაძლებელია. ინტელექტუალური კაპიტალი განუყოფელია მისი მფლობელის – ადამიანისაგან და ამის გამო აქტივის სახით იგი თითქმის მთლიანად არალიკვიდურია.